572
1967.

1967 თებერვალი N 2

# დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

მორის ფოცხიშვილი

ანა-ბანა, ანა-ბანა,
სიხარულმა ამიტანა,
ჩემი ქვეყნის სიყვარულმა
სადღა აღარ წამიყვანა.

მთაში ჩანჩქერები ვნახე,
ბარში ია-ვარდის ყანა.
ეს პატარა საქართველო
რა ყოფილა ამისთანა!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ენძელები

10.367.

მერი ბოლქვაძე

ნახატი იური ქლიბაძისა

ფერდობის ძირას ენძელები ამოძვრნენ მიწიდან; ზოგი თეთრი იყო, ზოგი ვარდისფერი.

— ენძელები! ჩემი ლამაზი მზეთუნახავი ენძელები! — შეჰყვირა სიხარულით მარინემ და ალერსი დაუწყო: — სად იყავით ამდენ ხანს დამალულები?

— ზამთარი იყო და მიწის ქვეშ გვეძინაო, — უპასუხეს ენძელებმა. — გაზაფხულის მზემ გამოგვაღვიძა და მიწის ზევით ამოსვლა გვიბრძანა: დამენახვეთ, დაენახვეთ ყველას და ახარეთ: გაზაფხული მოდისო.

— სხვა ყვავილები სადღა არიან? — იკითხა მარინემ.

— ისინიც მალე გაიღვიძებენ; გვირილა, იასამანი, ვარდი და გაზაფხულის სიმღერა ყველგან ახმიანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი ძმა

შოთა ასანიშვილი    ნახატი ზურაბ კაპანაძისა



მე დიდი ძმა მყავს. გელა ჰქვია, არქიტექტორია. მე კი წელს პირველად წავედი სკოლაში.

გელა ძალიან ბევრს მუშაობს. დედამ თქვა: „ზოგჯერ მთელ ღამეს არ იძინებსო“. თავის ოთახში არავის უშვებს, მხოლოდ მე არ მიწყრება, როცა კარს შევუღებ ხოლმე:

— შემოდი, ხათუნა, შემოდი!

მეც შევდივარ. გელა ზის და ქაღალდზე პატარა სახლებს ხატავს.

— ასეთი პატარა სახლი უნდა ააშენოთ?—ვეკითხები მე.

— ქაღალდზე პატარა სახლებს ვხატავთ, აშენებით კი ასჯერ და ორასჯერ დიდებს ვაშენებთ.—ამიხსნა გელამ.

იცით, რა ლამაზად აფერადებს სახლებს, ძალიან მომწონს. შავი ნახაზებისა კი არაფერი გამეგება.

— აი, ეს სქელი შავი ხაზები აგურის კედლებია. ეს კი—ოთახებია. ხედავ, სხვადასხვა ზომისაა: ეს საწოლი ოთახია, ეს სასტუმრო, ეს სამზარეულო, ეს კი საკუჭნაო.—მიხსნიდა გელა.

— კარები და ფანჯრები სადღაა?—მოვიკალათე ნახატთან.

— ფანჯრები და კარები აი, ამ პატარ-პატარა ხაზების ადგილზე იქნება.

— მალე ააშენებ ამ სახლს?

— მალე ავაშენებთ...

— მერე წამიყვანე რა, ამ სახლის სანახავად!

— უთუოდ წაგიყვან, ჩემო ხათუნა. ახლა კი დამეხსენი, წადი, გაკვეთილები დაამზადე.—მთხოვა გელამ.

მე გაკვეთილები ვიცი, მაგრამ თითის წვერებზე გამოვიპარე. ჩემი ძმა მუშაობს და ხელი არ უნდა შევუშალო. ჩემი ძმა არქიტექტორია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლელა

ლიდია მეგრელიძე

ლელა, ლელა, ლელა,
გოგო ცუგრუმელა,
ლელას უყვარს ლექსები,
ლექსებს უყვართ ლელა.
„აბა, ფისო... აბა, ბურთი...“
აქ ყაყაჩო ქლავს.
— ჩემთან მოდი!..
— ჩემთან მოდი!.. —
ხელებს უქნევს ყველა.
ლელას უყვარს ლექსები,
ლექსებს უყვართ ლელა.

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

## რებუსი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხვირბამბუკა





კ. გოგიაშვილი

პაწაწინა, ცუგრუმელა,
მომიყვანა ძიამ მელა,
კუდფაფუკა,
ცხვირბამბუკა,
ეშმაკი და ცუნცულა,
ისე კარგი,
ისე მარდი,
არ იცოდა სულაც დარდი.
ბეწვიანი,
პეწიანი,
პირწუწკი და სუნსულა.

უხდებოდა გრძელი კუდი,
შევუკერე კოხტა ქუდი,
ჩავაცვი და გამოვაწყე,
ვაძლე, ვაძლე, ვერ გავაძღე...
გამოვარდა ეზოში,
დედალს ეცა თეძოში,
წააქცია გოჭი,
ამოუგდო კოჭი.
გოჭუნია აჭყვიტინდა:
— ვაი... ვაი... დედა მინდა!—
ასლოკინდა ყვინჩილა,
ბეკეკასთან იჩივლა:

— თუ ხარ ჩვენი მეგობარი,
თუ ხარ რქებით ქებული,
მოგვაშორე ვიღაცაა
თავზე ხელაღებული.—

ავახვახდა იხვი:
— მოდი, და ნუ იტყვი.—
აყაყანდა ბატი:
— თავში ჩამცხო თათი.
ერთი ცხვირზე მაკბენინა,
მთელი ეზო მარბენინა.—
დადგა, როგორც ბედაური,
ალოყლოყდა ინდაური:

— აუ, აუ, რა ყოფილა,
წუწკი თავს გრძნობს კმაყოფილად
დარჩენა სურს გაისადაც,
ტყეში ხომ არ გაიზარდა?!

ააბღავლა ბოჩოლა,
აკაკანდა ქოჩორა.

ერთი სიტყვით, ციცქნა მელამ
მთელი ეზო აიკლო,
და წონაში დარდისაგან
თითქმის ყველამ დაიკლო...

არ ჩერდება, დარბის, დარბის,
ეშმაკი და ქათმის ხარბი.
თვალს აცეცებს
აქეთ-იქით,
ვის დაეძებს
ნეტავ იგი?!
ბოლოს ცელქი მელაკუდა
ფეხაკრეფით მიცუნცულდა,
იცით, სადა?



სადგომიდან
გამოვარდა მურია:
— ჰამ, ჰამ, ჰამ, ჰამ,
ვინ მოსულა,
ნეტავ სადაურია?—

საცოდავი მელა,
გახდა მორგვისხელა,
სიმწრის ოფლში მოიგუდა,
მოილუშა, მოიკუნტა
ღა გაქცევა როცა სცადა,
ძაღლმა აღარ დააცადა,
მელას კუდი იგდო პირში,
მოაკვნიტა სწრაფად ძირში...
იმანჭება, ყვირის მელა,
უკუდო და უძლომელა,
მურიკელა გაგვიცხარდა,
მთელი ეზო ახარხარდა:
— შეხეთ, გარბის ქათმის ქურდი,
მურას შერჩა მელას კუდი!—
უცბად იხვი ავახვახდა:
— ვახ, ვახ, მელა, ავად გახდა.—

ასისინდა თეთრი ბატი:
— კიდევ ჩამკარ თავში თათი!
სირცხვილი შენ, სირცხვილი,—
იხრჩობიან სიცილით:
ინდაური, ბოჩოლა,
მამალი და ქოჩორა.
წვერცანცარა კიკინებს,
კოჭლი ბატი ყიყინებს.

გოჭუნია აჭყვიტინდა:
— ეგრე გინდა, ეგრე გინდა!—
ინდაურიც აყვირდა:
— მელამ კუდი გაყიდა!—

მურიკელა კუდს დასცქერის,
ეს არც ისე ცუდია,
წინათ ერთი კუდი ჰქონდა,
ახლა ორი კუდი აქვს!
ცუნცულა კი ტახტქვეშ შეძვრა
უტანსაცმლოდ, უქუდოდ,
ასე დარჩა მელაკუდა
წუწკობისთვის უკუდოდ.



ნახატი თენგიზ სამსონაძისა

# კაკულა და ცუნცულა

ქეთევან ჭილაშვილი



წვიმდა. ზურიკო და ნიკოლა ფანჯარაზე მოკალათებულიყვნენ და ახმაურებულ რიყეს გაჰყურებდნენ. მღვრიე ნიაღვარს რაღა არ მოჰქონდა: ხის ჯირკები, ფოთლები... აქაფებული ტალღები ვეება ლოდებს ეჯახებოდნენ და თავქვე მიისწრაფოდნენ...

— ძია გიორგი! ძია გიორგი!—ყიჟინა ატეხეს ბიჭებმა ბიძის დანახვაზე.

ძია გიორგი წყალს მიადგა. ფეხთ გაიხადა, მაზარის კალთები აიკეცა და შეტოპა.

თავიდან ფეხებამდე გალუმპული გიორგი შინ შემოვიდა.

— აგაშენოთ!—მეცხვარის ქუდი მოიხადა და პატარა პირგადაკრული კალათი იქვე კუთხეში მიდგა.

ზურიკომ და ნიკოლამ ფანჯრიდან ისკუპეს და ბიძას კარებში მიეგებნენ.

— აბა, რომელია თქვენში ყოჩაღი, რომელი გამოიცნობს რა არის ამ კალათში?

— ყველი...

— წაბლი...

— საჭმელი არ არის, თქვე სუსნიებო, თქვენა!—უთხრა გიორგიმ.

— მაშინ კურდღელი იქნება!—წამოიძახა ზურიკომ.

— ჰოო, ახლოო ხართ, ახლოო!—წაახალისა ბიჭები ბიძამ.

— მელია იქნება!—გამარჯვებული იერით გადახედა ნიკოლამ ზურიკოს.

— მელია კი არა, დათვის ბელი!—უფრო დაბეჯითებით თქვა ნიკოლამ.

— აი, თქვე ბელოვლათებო, თქვენა!—წკიპურტები უთავაზა გიორგიმ ძმისშვილებს.—კიდევ რას ინებებდით? ამ პატარა კალათით იქნებ ლომი მომეყვანა, ჰა?

ბიჭებმა დაირცხვინეს. კალათში მიყუჟულ ლეკვებს მოთმინება დაელიათ, აწკმუტუნდნენ და თავები ამოჰყვეს.

ნახატი ჯემალ ლოლაში

— ლეკვები, ლეკვები!—მისცვივდნენ ბიჭები კალათს.

ნიკოლამ და ზურიკომ მთელი საღამო იდავეს, არა ეს სახელი დავარქვათ და არა ესაო. ბოლოს, როგორც იყო, შეთანხმდნენ. ერთს კაკულა შეარქვეს, მეორეს—ცუნცულა.

კაკულას და ცუნცულას დერეფნის ბოლოში დაუდეს ბინა. ლეიბად ბიჭების ძველი შარვალი ეფინათ, საბნად—დიდედა თებროს შალის ნაგლეჯი. საჭმელი არ აკლდათ და სასმელი. სიყვარულით ხომ, ბიჭები სულში ისვამდნენ.

დადგა გაზაფხული. კაკულამ და ცუნცულამ ახლა ეზოში დაიწყეს ნავარდი, მაგრამ სულ თამაშობაში ხომ არ იქნებოდნენ? ყველაფერს თავისი დრო აქვს და კაკულამ და ცუნცულამაც შრომას მიჰყვეს ხელი.

ზურიკომ და ნიკოლამ კაკულა სამწყემსურშიც გაიყოლეს, ცუნცულას კი, ეზო-ყურე ჩააბარეს.

— სად იყავი, სად დაიკარგე?—მთელი დღე თვალები დამაწყდა გზაზე ყურებით!—უსაყვედურა ცუნცულამ კაკულას, ბუნაგში რომ შეიყუჟენენ.

— შენსავით უსაქმოდ კი არ ვიჯექი! ბატკნებს ვმწყემსავდი, ხან აქედან შემოვურბენდი, ხან იქიდან. დაბაკუნობდნენ ალაბაცა.

— შენ გგონია მე უსაქმოდ ვიყავი? ეს ძერას შეუყეფეო, კრუხ-წიწილას არ დაერიოსო, ეს მეზობლის მამალი დააფრთხეო, ეს კატას შეუფუცხუნეო, თვალი სულ საქურდლად უჭირავს. დღეს მთელი დღე ისე დავიღალე, ქანცი აღარა მაქვს.—თქვა ცუნცულამ.

კაკულამ მეგობარს მხარზე თათი გადაჰხვია და იმანაც მილულა თვალი.

დაღლილ მეგობრებს ტკბილად ჩაეძინათ.






ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფრასიონ მერკვილაძე

მამია ასათიანი

ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

ძველ დროს ხალხი დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. მეფის მთავრობა ღარიბ გლეხობასა და მუშებს ავიწროებდა და სტანჯავდა. ხალხი დაირაზმა მათ წინააღმდეგ და 1905 წელს მოახდინა პირველი რევოლუცია. მრავალი ვაჟკაცი დაიღუპა ამ რევოლუციის დროს. მათ შორის ხალხისათვის თავგანწირული მებრძოლი აფრასიონ მერკვილაძე.

აფრასიონ მერკვილაძემ შეადგინა წითელი რაზმი, რომელიც შიშის ზარს სცემდა მეფის მთავრობას. მაზრის უფროსის ბრძანებით სოფლებში ჩააყენეს ყაზახთა რაზმები, გადასწვეს აფრასიონის სახლ-კარი და მის მოხუც მამას სცემეს.

აფრასიონის რაზმმა შორაპნის მაზრა დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა და მას „ყვირილის რესპუბლიკა"—დაერქვა. მაშინ ასეთი პატარა რესპუბლიკები იყო გურიაში, ნაძალადევში, ჭიათურაში, ზუგდიდში, გორში, სვანეთში.

რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ აფრასიონი და მისი რაზმი დიდხანს კიდევ არ ყრიდა იარაღს.

ბოლოს აფრასიონმა რაზმი დაშალა და ბათუმის მუშებთან ჩავიდა.

მეფემ გენერალი ალიხანოვ-ავარსკი შეასია ზემო იმერეთს. ალიხანოვი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა სოფლებს, რევოლუციის თავკაცებს აპატიმრებდა და სახლ-კარს უწვავდა.

აფრასიონი მაშინვე ზესტაფონში ჩავიდა. ისევ შეკრიბა თავისი რაზმი და ჭიათურისაკენ გაე-





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურა. იქ მას ეგულებოდა ქიათურელი მუშე... მათი დიდი იმედი ჰქონდა. მართლაც აფრასიონი და მისი რაზმელები ვეფხვებივით ეკვეთნენ ყაზახებს და ზურგზე ბოლი ადინეს.

ათას ცხრაას შვიდი წლის ოც ებერვალს მოღალატეებმა გასცეს აფრასიონი და მისი მეგობრები. ყაზახები მალულად თავს დაესხნენ მას და ტყვიებით დაცხრილეს.

აფრასიონთან ერთად მოჰკლეს მისი განუყრელი ამხანაგები: ლავრენტი დუგლაძე და ალექსანდრე გაჩეჩილაძე.

აფრასიონის ხურჯინს ჟანდარმები დიდხანს ახლოს ვერ ეკარებოდნენ, ხურჯინი ყუმბარებით ეგონათ სავსე.

როცა შიშითა და კანკალით გახსნეს, შიგ მარქსის, ლენინის, ენგელსის და პლეხანოვის წიგნები აღმოჩნდა.

აფრასიონს ჰყავდა ორი და: ალექსანდრა და იტიდორა. ისინი უშიშრად ეხმარებოდნენ თავიანთ ძმ და მასთან ერთად არა ერთხელ მოხვედრილან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში.

აფრასიონის გმირულ სიკვდილზე ხალხმა ლექსი გამოთქვა:

აფრასიონ მერკვილაძეს
თავი უკვდავი ეგონა,
ოცი ტყვია მოახვედრეს,
ფეტვის კაკალი ეგონა.
სტრაჟნიკები შემოერტყნენ,
კოლო-ბუზები ეგონა,
რაზმელების შეძახება
ტკბილი სიმღერა ეგონა,
მკერდზე სისხლი გადმოჩქეფდა,
წითელი ვარდი ეგონა,
გულგანგმირული მოძმენი
დაძინებულნი ეგონა.
ვეფხვივით დანავარდობდა,
მტრები ჩიტები ეგონა,
ნათელი რომ დაუბნელდა,
მას დაღამება ეგონა,
ხევში უსულოდ მწოლარეს
თავი მინდორში ეგონა,
დების მდუღარე ცრემლები
ჟუჟუნა წვიმა ეგონა...

## ლავრენტი ჭიჭინაძე

ერთხელ ბაბუა ონისიმემ მეურნეობის მინდორში დააპირა წასვლა და შვილიშვილებს უთხრა: აბა, ვისაც უნდა, ჩემთან ერთად წამოვიდეს.

— იქ რა უნდა გავაკეთოთ? — იკითხეს ბავშვებმა, ეტყობოდათ, არ უნდოდათ წასვლა.

— თივაში კოტრიალი ვის უყვარს? — წააქეზა ონისიმემ.

— მე, მე! — ერთხმად წამოიყვირა ყველამ.

— ჰოდა, წავიდეთ, მოთიბული ბალახი ერთ ადგილზე მოვაგროვოთ და რამდენიც



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

# სტუმრობანა

დავით ხუროძე

დატრიალდა მაია,
ვითომ სტუმრებს ელის,
სწრაფად ცომი მოზილა,
დამბალი აქვს ყველი.

მოიტანა მწვანილი
სველი, ცვარნაპკური,
მერე თეფშზე დააგდო
ცხელი ხაჭაპური.

გაიშალა მაგიდა,
სულო, გულო, რა გინდა.

არ აკლია სუფრას
სალათა და მწნილი,
ახლა უნდა სტუმარი
ხელებდაბანილი.





# ბიას კრუხი

გაბრიელ ჯაბუშანური

დილით კახას ეზო-კარში
ერთი კრიახ-კაკანია.
ქორორა კი საბუდარში
კვერცხს აღარ დებს რა ხანია.

მოიარა უცებ კახამ
ეზო-კარი საკუთარი
და საბძელში დაინახა
იმ ქორორას საბუდარი.

ხედავს, კრუხი კვერცხებზე ზის,
საკენკსაც კი აღარ კენკავს...
და კახასთვის ერთ-ორ დღეში
თეთრ წიწილებს გამოჩეკავს.



# კეთილი ბეჰემოთი

მარგო ქორიძე

ზღაპარი

ნახატი დიმიტრი ზარაუშვილისა

ნატო იქ ცხოვრობს, სადაც დევებივით დიდი მთებია და დაბურული ტყეები. ამ ტყეებში მრავალი ფრინველი და გარეული ცხოველი იცის. ნატოსთან ხშირად მოდიან სტუმრად ტყის ბინადრები. აი, ახლაც მოვიდნენ: ყურცქვიტა კურდღელი, დათუნია დრუნჩა, შველი ნუკრია, პაწაწინა წრუწუნა და მეზობლის ოთხი წლის ცელქი სოსო.

წრუწუნა დიდი შავი ქლიავისოდენაა, მაგრამ დიდგულაა და ბაქია. დათუჩა ბურთივით მრგვალია და მოუხეშავი, შველ ნუკრიას ყავისფერი სამოსი აცვია, ყურცქვიტა მარდია, მაგრამ მშიშარა, ფისუნას შავ ქალამნებზე თეთრი წინდები აცვია, ტანზე შავი წამოსასხამი წამოუხურავს, ზარმაცია, სულ ჭამასა და ძილზე ფიქრობს.

ნატო ჩიტუნებს ეჯიბრება სიმღერაში და ყოველ დილას ნატოს ეზოში ისეთი გალობა გაისმის, ისეთი, რომ მზეც კი პირღია უსმენს მათ.

წრუწუნამაც სცადა რაღაც ემღერა, მაგრამ ხრინწიანი ხმა ამოუვიდა, ისეთი სასაცილო, რომ უმალ შეწყვიტა და თვითონვე გადაიხარხარა, დარცხვენილი თავუნა ტყისაკენ გაიქცა. დანარჩენებიც თან მიჰყვნენ. ტყეს ქრიამულით მოეფინნენ. ბევრი, ბევრი ყვავილები მოაგროვეს, სოკოებიც ბევრი ნახეს.

კიდევ დიდხანს ითამაშებდნენ, მაგრამ ცა მოიღრუბლა, სეტყვა, ქარი და წვიმა ერთმანეთში აირია, ტყე ჩამობნელდა.

პატარები დაიბნენ, მორთეს ვაი-ვიში.

— ნუ ყაყანებთ, მომყევით, ამ ბილიკს გავყვეთ.— წინ სოსო გაუძღვა. ბევრი იარეს თუ ცოტა, ბეჰემოთთან აღმოჩნდნენ.

— აქ ასეთ ამინდში საიდან გაჩნდით? ამ კლდიდან სადაცაა ჩანჩქერი გადმოხეთქავს და სუყველას წაგლეკავთ, აბა, ზურგზე, ზურგზე,— დაიკუზა ბეჰემოთი. როგორც იქნა აცოცდნენ რიგრიგობით, მაგრამ ისევ აყვირდნენ:

— ვაიმე, სეტყვამ თავი გაგვიტეხა, თავი...

— მე დიდი პირი მაქვს, თქვენ ყველანი ჩემს ხახაში მოთავსდებით, აბა, იჩქარეთ, იჩქარეთ!— თქვა ბეჰემოთმა.

მართლაც ყველანი ძალიან კარგად მოკალათდნენ ბეჰემოთის უზარმაზარ ხახაში, მაგრამ ეს რა მოხდა? სულ პანტაპუნტით რად გადმოცვივდნენ ტალახში? ამოითხუპნენ.

— ეს რა გვიყავი?— გაკვირვებით იკითხა დათუჩამ.

— თქვენ თავი ვერ შეიკავეთ.

ბეჰემოთმა ისევ დააღო პირი და მაგრა რომ ჩაისუნთქა, პატარები ჯერ ხახაში და შემდეგ კიდობანივით უზარმაზარ კუჭში გადაცვივდნენ.

— ვაიმე, მიშველეთ, მიშველეთ!— მორთო ყვირილი გოლიათმა ცხოველმა.

მასთან ზღარბი მივიდა და ჰკითხა:

— რამ შეგაწუხა, მეზობელო?

ბეჰემოთმა დაწვრილებით უამბო, რაც აწუხებდა.

— ჩქარა, მგელს დანა გამოართვი და მუცელი გამიჭერი, ბავშვები გადაარჩინე, მე კი დავილუპები, მაგრამ ჯანდაბას ჩემი ბებერი თავი, ჩქარა, ჩქარა, არ დაიგვიანო. ეს რა მომივიდა.

არ გასულა ხუთი წუთი, რომ ზღარბი დიდი დანით ხელში ბეჰემოთთან გაჩნდა.

ამ დროს ხეებს ლაწალუწი აუტყდა, ტყე ზანზარებდა.

— ხელმწიფე მობრძანდება!— თქვა ზღარბმა.

მოდიოდა გოლიათი სპილო.

— რა შეწუხებული სახე გაქვს, ძმობილო?!

— შენ შვილს ხომ არა შეემთხვა რა?

სპილომ დინჯად მოისმინა ბეჰემოთის ნაამბობი და უთხრა:

— ხომ არ მატყუებ, მოხუცო?

— არა, არა, ბიძია ბეჰემოთი მართალს ამბობს, იგი კეთილია.— გაისმა პატარების ყრუ ყვირილი.

სპილომ ხორთუმით სათითაოდ ამოიყვანა ბეჰემოთის მუცლიდან პატარები. პატარებმა ბეჰემოთს და სპილოს მადლობა გადაუხადეს, იქვე დაგუბებულ წყალში ხელ-პირი დაიბანეს. ამასობაში გამოიდარა კიდეც. ნატო თავის ამხანაგებთან ერთად სპილომ ხორთუმით ზურგზე შემოისვა და მხიარული სიმღერით შინისაკენ გასწიეს.



ბავშვებო! აბა, თუ მიხვდებით, რომელი ნაწარმოების ილუსტრაციაა?!

ნახატი ლოლა გაბაშვილისა

## ანდაზა

კუდა ხარი თავისთვის არ იყო,
სხვას ბუზებს უგერებდაო.



## შხეფუნა

თევზი შხეფუნა ინდოეთისა და პოლინეზიის წყლებში ცხოვრობს. სიდიდით 20 სანტიმეტრია და სხვა თევზებისაგან თავისი ლამაზი ფერით გამოირჩევა.

შხეფუნა ხლვის ნაპირას დაცურავს ხოლმე და როგორც კი საკბილოს შეამჩნევს, მაშინვე წყლის ნაკადს სტყორცნის და მსხვერპლს ადვილად იგდებს ხელში.



## გამოცანა

მშვენიერი ფრთები ამკობს,
მოხატული ბოლო,
ნაზია და ლამაზია,
ხმა ცუდი აქვს მხოლოდ.

## შარადა

ქიაკოკონა დავანთე,
ავარდა ოქროს ენა,
ხილის სახელად იქცევა,
თუ დაუმატებ ბგერას!

შოთა ამირანაშვილი

სხივებში ჩასვით ნახატების სახელები. ამის შემდეგ შეავსეთ რკალის ცარიელი უჯრე-
ბი და მიიღებთ თვის სახელწოდებას.




შემდგენი მარინე მარკოზაშვილი



ნახატი ი. ულისაძისა

ნოდარ მაგანაძე

კოტე ბიჭი კოტორა
ზურგზე მოშეკოტორა,
იცინის და ხარობს,
ჩემი ახუ ხარო!

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი.

ყდაზე ნახატი ვაჟა მელქაძისა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XII 1966 წ.

ფასი 20 კაპ.

6 158/38
ეროვნული ბიბლიოთეკა



„სახლი მთაზე“ — ნახატი ვაჟა გელაშვილისა, 5 წლის, ყაზბეგის რაიონი, სოფელი სნო.

„გოგონა„ — ნახატი რუსუდან ვალიშვილისა, 6 წლის, ყაზბეგი.





„ია“ — ნახატი ნონა ფირანიშვილისა, 6 წლის, ყაზბეგი.



„ყვავილი“ — ნახატი მზია ნაცვლიშვილისა, 4 წლის, ყაზბეგი.



„გემი“ — ნახატი შალიკო ლუდუშაურისა, 6 წლის, ყაზბეგი.